რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

TDI

2025 წლის ოქტომბერი

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის ოქტომბერი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აკვირდება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოს. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2025 წლის ოქტომბრის პერიოდს.

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის

2024 წლის ანგარიშები:

წინაასარჩევნო პერიოდი
25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე
25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე

არჩევნების შემდგომი პერიოდი
26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე
26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე

2025 წლის ანგარიშები:
26 დეკემბერი, 2024 - 2025 წლის 31 იანვარი
თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

ფოტო გარეკანზე: გიორგი მოსიაშვილი (მოსე)

სარჩევი

მთავარი ტენდენციები 4

1. პოლიტიკური კონტექსტი: ზოგადი გარემო და ქართული ოცნების რეპრესიული პოლიტიკა 5

2. ევროკავშირის წინააღმდეგ პროპაგანდა და ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაცია 7

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირის წინააღმდეგ პროპაგანდისტული კამპანია 11

4. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა 12

5. სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე 13

5.1 განცხადებები „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულ პოლიტიკაზე, რეპრესიებსა და პატიმრებზე 13

5.2. არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის მხარდამჭერი განცხადებები 18

მთავარი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა „ქართული ოცნების“ აგრესიული ანტიევროპული კამპანია, სადაც ევროკავშირი წარმოჩენილია საქართველოს მტრად და უცხო ძალად, რომელიც ებრძვის სახელმწიფო სუვერენიტეტს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ტრადიციებს.

გაგრძელდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა და დისკრედიტაციის კამპანია. ასევე, პროპაგანდისტული მედიისა და საქართველოს საპატრიარქოს თავდასხმის სამიზნე გახდა პროევროპული მოძრაობის მხარდამჭერი მართლმადიდებელი სასულიერო პირი, არქიმანდრიტი დოროთე ყურაშვილი.

„ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ახალი რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები მშვიდობიანი პროტესტის, პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვისა და გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად, და საკონსტიტუციო სასამართლოში პარტიების აკრძალვის ანტიკონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო სარჩელი წარადგინა.

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა - მართლმადიდებელი და სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირების მცირე ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიულ, ანტიევროპულ კურსსა და პროპაგანდისტულ რიტორიკას, და ავრცელებდა პოლიტიკური პატიმრების მხარდამჭერ განცხადებებს საჯარო გამოსვლებსა თუ ქადაგებებში.

1. პოლიტიკური კონტექსტი: ზოგადი გარემო და ქართული ოცნების რეპრესიული პოლიტიკა

„სახელმწიფო გადატრიალების“ საბაბით, მოქალაქეთა და პოლიტიკურ ლიდერთა მასობრივი დაკავება:

4 ოქტომბერს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადა ძირითადი ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა. ამომრჩევლების ნაწილი, არჩევნების ბოიკოტის ნიშნად, მოძრაობა „რუსთაველის გამზირის“ მიერ დაანონსებულ „სახალხო კრებას“ შეუერთდა. აქციაზე დემონსტრანტთა მცირე ნაწილი ათონელის ქუჩაზე, პრეზიდენტის რეზიდენციის „ჯეგირების“ გარღვევას შეეცადა, რაც სპეცრაზმთან დაპირისპირებით დასრულდა. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა აღნიშნულ ქმედებას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უწოდეს და 28 ოქტომბრის მდგომარეობით, ამ საქმეზე, სისხლის სამართლის წესით, 62 პირი დააკავეს.[1]

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერი მარია ზახაროვა მიესალმა საქართველოში 4 ოქტომბერს ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებს და მას „გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი“ უწოდა. მან ამავდროულად დაგმო „დასავლური აქტორების ცნობილი ჯგუფის“ მიერ ქვეყნის შიდა საქმეებში „აშკარა ჩარევა“.

გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უკიდურესი შეზღუდვა:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში შევიდა გამკაცრებული საკანონმდებლო ცვლილებები. მაგალითად, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის რიგი ნორმების დარღვევა[2], როგორიცაა აქციაზე სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა, ცრემლმდენი საშუალების ფლობა ან/და ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა, ჯარიმის ნაცვლად, პირდაპირ 15-დღიანი, ორგანიზატორის შემთხვევაში კი, 20-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით განისაზღვრა. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ შესული ცვლილებებით, ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ნაწილებით განსაზღვრული რომელიმე ქმედების განმეორებით ჩადენისთვის ერთ წლამდე, იმავე ქმედების არაერთგზის ჩადენისთვის ორ წლამდე, ორგანიზატორისთვის კი შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა, „რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია“ ოთხ წლამდე პატიმრობით განისაზღვრა. 24 ოქტომბრის მდგომარეობით, პარლამენტთან გზის გადაკეტვისთვის 90-ზე მეტი ადამიანია დაკავებული და ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) 2025 წლის 12 ნოემბრის საგანგებო დასკვნით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, პატიმრობით აშინებს შეკრება-მანიფესტაციაში

[1]გამოძიება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების (317-ე მუხლი), ნივთის დაზიანება ან განადგურების (187-ე მუხლი), სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირების (222-ე მუხლი) და ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობის (225-ე მუხლი) მუხლებით დაიწყო.

[2] ეს ნორმები "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონს, 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ დაწყებული უწტვეტი საპროტესტო მოძრაობის შესაზღუდად, 2024 წლის დეკემბრის და 2025 წლის თებერვლის ცვლილებებით დაემატა.

მონაწილეობისთვის ადამიანებს, გამოიყენება კრიტიკული მოსაზრებების გასაჩუმებლად და არა კანონისმიერი მიზნებისთვის და უნდა გაუქმდეს[3].

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აკრძალვა:

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნების“ ერთპარტიულმა პარლამენტმა 2025 წლის 16 ოქტომბერს დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს პარტიების აკრძალვას და მათთან დაკავშირებული პირებისთვის პოლიტიკური უფლებების განუსაზღვრელი ვადით ჩამორთმევას. ასევე, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო სასამართლოში პარტიების აკრძალვის სარჩელიც წარადგინა, რომლის მიხედვითაც იგი, სადავო ლეგიტიმაციის მქონე 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული ოთხი პარტიიდან, სამის - *„ნაციონალური მოძრაობის“, „კოალიცია ცვლილებისთვის“* და *„ძლიერი საქართველო-ლელოს“* აკრძალვას ითხოვს. აღნიშნული სარჩელი, ისევე როგორც რეპრესიული კანონები, მიზნად ისახავს კონკურენტების პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოშორებას, არის ანტიკონსტიტუციური, უფლებაშემზღუდველი და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო.

განათლების სისტემაზე პოლიტიკური კონტროლის დამყარება, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა და ევროპული საგანმანათლებლო სისტემისგან იზოლაცია:

16 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ახალი განათლების რეფორმის კონცეფცია წარადგინა, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესები შემოკლდება როგორც უნივერსიტეტებში (3 წელი ბაკალავრიატი, 1 წელი მაგისტრატურა), ასევე - სკოლებშიც (11-წლიანი სასწავლო პროგრამა); მოხდება უმაღლესი განათლების სისტემის გეოგრაფიული დეკონცენტრაცია და ფაკულტეტების შემცირება პრინციპით - „ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტი“; სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის განისაზღვრება ახალი დაფინანსების საგრანტო პროგრამა და უცხოელი სტუდენტების მიღების საგამონაკლისო წესები. ლექტორ-მასწავლებელთა თქმით, განათლების ეროვნული კონცეფცია შემუშავებულია აკადემიური საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, ნაჩქარევად და გაუმჭვირვალედ. აკადემიური სფეროს წარმომადგენლები რეფორმას აკრიტიკებენ, როგორც ევროპული საგანმანათლებლო სისტემისგან იზოლაციისა და აკადემიური თავისუფლების ხელყოფის საფრთხეს.

„ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები აქამდეც აქტიურად უტევდნენ საგანმანათლებლო სფეროს, განსაკუთრებით იმ უნივერისტეტებს, სადაც პოლიტიკური პროცესების მიმართ კრიტიკული ხმა ისმის. მაგალითად, 12 ოქტომბერს, პროპაგანდისტულმა ტელეარხმა, „იმედმა“ მოამზადა სიუჟეტი, სათაურით, „ექსტრემიზმი განათლების ნაცვლად“.

სიუჟეტი ავითარებს პროპაგანდისტულ ნარატივს, რომ აკადემია „რადიკალიზმის“ ერთ-ერთი კერაა და დაუსაბუთებელ ბრალდებებს აჟღერებს კონკრეტული ლექტორებისა და უნივერსიტეტების წინააღმდეგ. ამავე სიუჟეტში, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, ზურაბ ქადაგიძე მანიპულაციურად იყენებს რელიგიას ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებლის დისკრედიტაციისთვის: *„ავრცელებენ ისეთ მავნებლურ ნარატივებს, როგორიც არის ის, რომ თითქოს*

[3] იხ. 2025 წლის 12 ნოემბრის დასკვნა:FOPA-GEO/564/2025 [ALC/TN]

მოძველებულია სამშობლოს ცნება, მოძველებულია პატრიოტიზმი, მოძველებულია რელიგია…“ ზურაბ ქადაგიძემ იდენტური შინაარსის განცხადება სოციალურ მედიაში არაერთხელ გაავრცელა.

2. ევროკავშირის წინააღმდეგ პროპაგანდა და ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაცია

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ და მასთან აფილირებული სუბიექტები კვლავ აგრესიულ ანტიდასავლურ კამპანიას აწარმოებდნენ, სადაც ევროკავშირი და დასავლეთი წარმოჩნდება, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის, რელიგიური იდენტობისა და ეროვნული ღირებულებებისთვის მტრული ძალა, ხოლო „ქართული ოცნება“ - ტრადიციებისა და სარწმუნოების დამცველი.

ხშირად ისმოდა ასევე არასეკულარული შინაარსის განცხადებები, რომლებიც ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას ერთმანეთთან აიგივებს და სხვა აღმსარებლობების წვლილს ქართულ კულტურასა და პოლიტიკაში უგულებელყოფს. მაგალითად,

> მიხეილ ყაველაშვილი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი, 14 ოქტომბერი: „[...]თანამედროვე საქართველოში ჩვენ, ქართველები, სწორედ ჩვენი დედაეკლესიის, მართლმადიდებლური სარწმუნოების მეშვეობით ვართ ასე განმსჭვალული, რომ ასე ძლიერად ვართ წარმოჩენილი. უდიდესი ძალა აქვს ჩვენს სარწმუნოებას.“

„ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტების თქმით, ბიუროკრატებისა და აგენტებისგან შემდგარი ევროკავშირი მოქმედებს არა საკუთარი ხალხის ინტერესებით, არამედ „დიფ სთეითის“ კარნახით; ევროკავშირის ქვეყნები კარგავენ რელიგიურ და ეთნიკურ იდენტობას; საქართველოს მოქალაქეები კი თითქოს დგანან არჩევანის წინაშე — ევროკავშირი თუ ეროვნული სუვერენიტეტისა და ტრადიციების შენარჩუნება; ევროკავშირი საქართველოსთან არა პარტნიორობას, არამედ მორჩილებას ითხოვს; „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის და საპატიო თავმჯდომარის, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, *„მეგობრისა და პარტნიორის ნიღაბს ამოფარებულ კონკრეტულ უცხო ძალებს ღიად მოუწიათ ეღიარებინათ, რომ ჩვენგან მათი ინტერესების მორჩილებას მოითხოვენ!“*

ამავდროულად, მათ ნარატივში ევროინტეგრაცია იგივდება „ექსტრემიზმთან“, „ლგბტ პროპაგანდასა“ და „გაუმჭვირვალე დაფინანსებასთან“. „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, *„ბრიუსელმა უნდა შეწყვიტოს შიდა ტერორიზმის საფრთხის დაკნინება და ძალადობის პროპაგანდის დაფინანსება.“* - ეს გზავნილები მიზნად ისახავს საზოგადოებაში უნდობლობის გაღრმავებას ევროკავშირის მიმართ და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივის დისკრედიტაციას.

„ქართული ოცნება“ გამუდმებით თავს ესხმის პარტნიორებს, ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოში. 14-15 ოქტომბერს, საქართველოში ვიზიტით მყოფი ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელინა ვალტონენი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსთაველის გამზირზე გზის „გადაკვეტვისთვის“ 5000 ლარით

დააჯარიმა. ის რუსთაველზე პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე მივიდა, რომელიც 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ უწყვეტად გრძელდება. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებით, ის *„აქციაზე 51-ე „აკაცუკად" მივიდა“.*

19 ოქტომბერს, გერმანიამ ელჩი საქართველოში, პიტერ ფიშერი, კონსულტაციებისთვის გაიწვია და ამის მიზეზად ქართველი ლიდერების მიერ ევროკავშირის, გერმანიისა და პირადად ელჩის საწინააღმდეგო აგიტაცია დაასახელა. „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ თავმჯდომარის, სოზარ სუბარის განცხადებით, ელჩი ფიშერი საქართველოში „დიფ-სთეითის“ პოლიტიკას ატარებდა; *„ფიშერი „დიფ-სთეითის“ პოლიტიკის განმხორციელებელია საქართველოში და ამ პოლიტიკას ის ახორციელებდა ძალიან აშკარად, უტიფრად და არამეგობრულად.“*

„ევროკავშირი რელიგიური და ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ“

„ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები საჯარო გამოსვლებში ევროკავშირს წარმოაჩენენ ძალად, რომელიც მტრობს მართლმადიდებელ ეკლესიას და ზოგადად, რელიგიურ იდენტობებსა და ტრადიციებს; ქართველებს თავს ახვევს მრავალფეროვნების კონცეფციას და ლიბერალურ ღირებულებებს, რასაც მათი თქმით, თან მოსდევს ეროვნული იდენტობის გაქრობა. თავად ევროპის ქვეყნებში, მათი თქმით, ეს ღირებულებები ნიველირებულია.

მაგალითები:

> ირაკლი კირცხალია, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 8 ოქტომბერი: „ეს არის დემონსტრირება იმის, რომ ჩვენ ვართ ამაყი ერი. დემონსტრირება იმის, რომ ჩვენ არასდროს გადავუხვევთ ჩვენს პრინციპებს… ჩვენ ვაფასებთ ჩვენს რელიგიას. და დემონსტრირება იმისა, რომ საქართველო არასდროს იქნება არავის გავლენის ქვეშ.“
>
> ერთიანი ნეიტრალური საქართველო, „ქართული ოცნების“ სატელიტი პოლიტიკური გაერთიანება, 11 ოქტომბერი: „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ კიდევ ერთხელ, კატეგორიულად აყენებს საკითხს საქართველოს ხელისუფლების წინაშე, სასწრაფოდ გადახედოს ევრეთ წოდებული ევროინტეგრაციის პროცესს… რომელი ევროკავშირის წევრობას უპირებთ საქართველოს 2030 წელს, სადაც ამ დროისთვის ადამიანისთვის არც სქესი, არც იდენტობა, არც ეროვნულობა, არც რელიგია და არც ტრადიციები აღარ იარსებებს?
>
> დავით ქართველიშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 13 ოქტომბერი: „იტალიაში მცირე, მაგრამ აქტიურია ულტრაფემინისტური და ანარქისტული ჯგუფები, რომლებიც უნივერსიტეტების ირგვლივ იკრიბებიან. ისინი ატარებენ პერფორმანსებს ეკლესიისა თუ პოლიციის წინააღმდეგ, თუმცა საზოგადოებრივი გავლენა მათ მინიმალური აქვთ… კონსერვატიულ პოლონეთში პერიოდულად ჩნდებიან მცირე ლიბერალური ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტრადიციულ ღირებულებებსა და ეკლესიას. მათი რესურსი უმეტესად დასავლური ფონდებიდან იკვებება და საზოგადოებრივი მხარდაჭერა თითქმის არ გააჩნიათ;
>
> ნანა კაკაბაძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი მოძრაობის, „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ დამფუძნებელი, 10 ოქტომბერი: „საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ხედავს, რომ ნაცოპოზიციას იმ დასავლეთში კი არ მივყავართ სადაც ღირებულებები (სამართლიანობა, დემოკრატია, თავისუფლება, ქრისტიანული მორალი და თანასწორობა) ბატონობდა, არამედ ცდილობენ ქვეყანა წაიყვანონ ერთხელ

უკვე ევროპა-გამოვლილ ფაშისტურ-ლიბერალურ დასავლეთში, ვინაიდან თვითონაც ფაშისტური იდეოლოგიის მატარებლები არიან, რაც დაამტკიცეს როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში ყოფნის დროს."

ევროკავშირი: „ლგბტ პროპაგანდისა" და „გარყვნილების" წყარო

„ქართული ოცნება" და მისი სატელიტები კვლავ მიმართავენ პროპაგანდისტულ რედუციონიზმს და ცდილობენ ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვას, სამართლიანი კანონმდებლობისა და სასამართლოს უზრუნველყოფას, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, პოლიტიკური რეპრესიებისგან დაცულ, თავისუფალ პოლიტიკურ გარემოს, მხოლოდ ლგბტ უფლებების მხარდაჭერის საკითხამდე დაიყვანონ. ისინი მანიპულაციისთვის იყენებენ შეთქმულების თეორიებს, თითქოს დასავლეთმა „ლგბტ თემი" ხელოვნურად შექმნა (ისევე, როგორც „იეჰოვას მოწმეთა სექტა"), რათა სხვა ქვეყნების სამართავად გამოიყენოს.

მაგალითები:

> ეკა სეფაშვილი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" წევრი, 15 ოქტომბერი: „...ბოლო პერიოდში ჩვენ მოვისმინეთ 2 ძირითადი მოთხოვნა… მეორე, ოჯახური ღირებულებების კანონი - ევროკავშირი შეიქმნა, განმტკიცდა და განვითარდა სწორედ ქრისტიანული ფასეულობების ირგვლივ. ახლა, როგორც ვხედავთ, სწორედ ამ ქრისტიანული ღირებულებების დაცვის საფრთხე წარმოიშვა, როდესაც მიიღეს სტრატეგია ლგბტ პირები უფლებების დაცვის განმტკიცების და ვინც ამ სტრატეგიას ჯეროვან დონეზე არ შეასრულებს, მათთვის გარკვეული ფინანსური სანქციების დაწესების შესახებ. …ყველას შევახსენებ, რომ საქართველოში ეროვნული, ქრისტიანული, ოჯახური ღირებულებების დაცვას ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა ორჯერ მისცა ხმა".
>
> გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" წევრი, 26 ოქტომბერი: „...ლგბტ პროპაგანდას ეწევიან, „დიფ სთეითის" დავალებებს უპირობოდ ასრულებენ და ა.შ. თუ ასევე არ მოიქცა საქართველო, ვერ გახდება ევროკავშირის წევრი."
>
> თამარ ჩიბურდანიძე, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" წევრი, 9 ოქტომბერი: „რაც შეეხება ევროპას, რომელმაც დღეს დაამტკიცა 2026-30 წლების სამოქმედო გეგმა LGBTQ+ თემთან დაკავშირებით… LGBT თემი სპეციალურად არის ჩამოყალიბებული, შექმნეს კონკრეტული მიზნებისთვის, როგორც იეღოველების სექტა, რომელსაც საუკეთესოდ იყენებენ ამ საზოგადოების და მათი უფლებადამცველების სამართავად".

ევროკავშირი: „დიფ სთეითის" მიერ მართული ძალა

„ქართული ოცნება" და მასთან დაკავშირებული პროპაგანდისტები სისტემატურად იმეორებენ „დიფ სთეითის" და „გლობალური ომის პარტიის" კონსპირაციულ ნარატივს, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი და დასავლური ინსტიტუტები იმართება ჩრდილოვანი ძალის, „დიფ სთეითის"[4] მიერ. ეს

[4] კონკრეტულ შემთხვევებში, „ქართული ოცნების" პროპაგანდისტები პოლიტიკური და მედია პლატფორმების საშუალებით, „დიფ სთეითს" განმარტავენ, როგორც ებრაული წარმოშობის „ოლიგარქიულ ოჯახებს", რომელთა მიზანი, ევროპის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს „გადაგვარებაა, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, ზნეობრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით. ვრცლად, იხილეთ TDI-ის 2025 წლის ივნისის თვის მონიტორინგის ანგარიში,

ძალა ცდილობს სახელმწიფოების შიდა პოლიტიკის კონტროლს და მათზე ზეგავლენას. ნარატივის მიზანია, დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტების დელეგიტიმაცია და გარედან მართულ სუბიექტებად წარმოჩენა.

მაგალითები:

> ირაკლი კირცხალია, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, 7 ოქტომბერი: „ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ევროკავშირის სტრუქტურებში დღეს აშკარად იგრძნობა „დიფ სთეითის“ გავლენა და არაერთი ევრობიუროკრატი სწორედ მათზე მუშაობს.“
>
> გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 15 ოქტომბერი: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ სამწუხაროდ, ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა ეუთო/ოდირი, რომელიც მეტნაკლებად ინარჩუნებდა ობიექტურობას, Deep State-ის მხრიდან ასევე მოექცა ზეწოლისა და გავლენის ქვეშ.“
>
> სოზარ სუბარი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 20 ოქტომბერი: „სამწუხაროდ, ბოლო წლებში ვხედავთ ძალიან მტრულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ ევროკავშირის ბევრი სახელმწიფოს ლიდერების მხრიდან. ყველაფერს რომ თავისი სახელი დავარქვათ, ეს არის „დიფ სთეითი“ და მის მიერ მართული სახელმწიფოები, რომლებიც ვერ ეგუებიან სუვერენიტეტის იმ კურსს, რომელიც საქართველომ აირჩია“.
>
> ერთიანი ნეიტრალური საქართველო, „ქართული ოცნების“ სატელიტი პოლიტიკური გაერთიანება, 11 ოქტომბერი: „ევროკავშირში კი, როგორც ვხედავთ „დიფ სთეითის“ ეს მახინჯი იდეოლოგია ახალი ძალით იწყებს საზოგადოების ცნობიერებაზე, სახელმწიფოთა იდენტობაზე და ქვეყანათა ისტორიაზე გამანადგურებელ ზემოქმედებას.“

https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisuplebis_tanascoroba_sekularoba_ivnisi_2025.pdf

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირის წინააღმდეგ პროპაგანდისტული კამპანია

არქიმანდრიტ დორეთე ყურაშვილის[5] წინააღმდეგ, „ქართული ოცნებისა“ და მისი პროპაგანდისტების დისკრედიტაციული, ცილისმწამებლური კამპანია გაგრძელდა საანგარიშო პერიოდშიც.

29 ოქტომბერს, საქართველოს საპატრიარქოს მცხეთა-თბილისის ეპარქიულმა კომისიამ არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის საკითხზე დასკვნა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც არქიმანდრიტის *„მხრიდან კვლავ იკვეთება დისციპლინური და ზნეობრივი ხასიათის დარღვევები, კერძოდ: ცილისმწამებლური, ასევე მღვდლისა და მონაზვნისათვის შეუფერებელი სხვა ქმედებები“.* კომისიის *„უგულებელყოფის, შეურაცხყოფისა და კვლავ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო“*, კომისიამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს და სასჯელის სახით მოითხოვა *მისი გათავისუფლება ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრის მოვალეობიდან და მღვდელმსახურად გამწესება ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრაში“.* პატრიარქმა ილია II-მ დააკმაყოფილა კომისიის შუამდგომლობა.

არქიმანდრიტი დოროთე კომისიაზე პირველად 16 ოქტომბერს დაიბარეს, სადაც იგი არ გამოცხადდა, რადგან მისი განმარტებით, ბრალდება არ გააცნეს. 26 ოქტომბერს არქიმანდრიტმა დორეთემ განცხადება გაავრცელა და მოითხოვა, რომ საპატრიარქოში სხდომა საჯარო ყოფილიყო და მას ჟურნალისტებიც დასწრებოდნენ, რაზეც საპატრიარქომ თქვა, რომ „ასეთი ფორმატით კომისიის სხდომის გამართვა არის უპრეცედენტო და მიუღებელი“. 29 ოქტომბერს არქიმანდრიტი, სხვა სასულიერო პირებსა და ჟურნალისტებთან ერთად, საპატრიარქოსთან მივიდა, თუმცა იგი კომისიის სხდომაზე არ შეუშვეს.

არქიმანდრიტ დოროთეს თქმით, აღნიშნული კომისია მის სადამსჯელოდ შეიქმნა: *„მე მთხოვენ პასუხს სწავლებაზე და რა აქვთ დასამალი, რატომ იმალებიან, დაამტკიცონ თავიანთი სწავლება, დაამტკიცონ, რომ ის რასაც ამბობენ სწორია, დაამტკიცონ, რომ რუსეთი ჩვენი მოყვარეა, დაამტკიცონ რომ ევროპა ჩვენი მტერია.“* - აღნიშნა მან.

კომისის სხდომებისა და საპატრიარქოს დასკვნის გამოქვეყნების პარალელურად, „ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტი პარტიის წევრები და პროპაგანდისტები არქიმანდრიტ დორეთეს წინააღმდეგ სხვადასხვა შეურაცხმყოფელ, მადისკრედიტირებელ და ცილისმწამებლურ განცხადებას ავრცელებდნენ.

მაგალითები:

> გია ვოლსკი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატი, 29 ოქტომბერი: „...ზოგადად მისი შეხედულებები სერიოზული რევიზიაა იმ დოგმებისა, რომელიც მართლმადიდებლურ სარწმუნოებას

[5] არქიმანდრიტი დორეთე ყურაშვილი გამოირჩევა პროევროპული მოძრაობისა და პოლიტპატიმრების მხარდამჭერი განცხადებებით. ამავდროულად, ქრისტიანული პერსპექტივიდან, ხშირად აკრიტიკებს „ქართული ოცნების“ ანტიკონსტიტუციურ და ანტიდასვლურ დისკურსსა და პოლიტიკას.

გააჩნია… ვფიქრობ, რომ სასულიერო პირებმა თავიანთი საკითხები იმ სივრცეში უნდა გაარჩიონ, რომელიც ამისთვის არის მოწოდებული.“

დიმიტრი სამხარაძე, „ქართული ოცნების“ რეგიონული მდივანი, 7 ოქტომბერი: „...ეკლესიის გაძლიერება დავიწყეთ ბატონი ბიძინას დავალებით და ეს, ანაფორაში გამოპარჭყული ნაცი, მინიმუმ აქ რაც ჩამოვთვალე აიგნორებს და ხალხს ატყუებს!“

დიმიტრი ხუნდაძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 14 ოქტომბერი: „...ვნახეთ, რომ საეკლესიო პირი ეკლესიას უწევს წინააღმდეგობას, ირჩევს „ნაცმოძრაობის“ გვერდში დგომას და დესტრუქციის მხარდაჭერას, რაც მიუღებელი და უხერხულია.“

ლევან კოჭლოშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 30 ოქტომბერი: „დოროთე ყურაშვილი - ადამიანი, რომელიც ქართულ ეკლესიას ჩირქს სცხებს, სხვის შვილებს LGBT აქტივისტებთან დგომისკენ მოუწოდებს და უცხოური გავლენის ძალებს ემსახურება - არც მამაოა, არც მამა და არც ქართველი!“

ზაალ ანჯაფარიძე, „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტი, 30 ოქტომბერი: „...როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, დოროთე ყურაშვილის და მისი დაჯგუფების არენაზე გამოყვანა არის დაგეგმილი და მიზანმიმართული ქმედება როგორც სახელმწიფოს, ისე ეკლესიის წინააღმდეგ.“

4. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა ანტიკორუფციული ბიუროსა და სასამართლოს გზით, სამოქალაქო საზოგადოების დევნა.

2025 წლის ოქტომბერში ათეულობით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ ანტიკორუფციული ბიუროსგან მიღებული წერილები, რომლითაც მოთხოვნილი იყო მოცულობითი ინფორმაციის, მათ შორის, პირადი მონაცემების მიწოდება 2025 წლის აპრილიდან დღემდე შესრულებულ საქმიანობაზე, სასამართლოში გაასაჩივრა.

ადრესატმა ორგანიზაციებმა წერილობით აცნობეს ბიუროს, რომ კანონში შესული რეპრესიული ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, მათ არ ჰქონდათ დადებული ახალი საგრანტო ხელშეკრულებები და არც ძველ ხელშეკრულებებში შეუტანიათ ცვლილებები. შესაბამისად, მათზე „გრანტების შესახებ“ კანონით დადგენილი მონიტორინგის დაწყება უკანონო იყო. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ აბსოლუტურ უმრავლესობაში, ძალაში დატოვა და სრულად დააკმაყოფილა ბიუროს შუამდგომლობები, შესაბამისად, ორგანიზაციები დაავალდებულა ბიუროს მიაწოდონ საქმიანობასთან დაკავშირებული მოცულობითი ინფორმაცია. რაიონული/საქალაქო სასამართლოების მსგავსად, სააპელაციო სასამართლომაც ფაქტობრივად უცვლელად გადაიტანა ბრძანებებში ბიუროს შუამდგომლობების დასაბუთება ისე, რომ მათი არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი დასაბუთება არ შეუმოწმებია, რითაც სასამართლო სისტემამ უარი თქვა კანონით მისთვის მინიჭებული სასამართლო კონტროლის განხორციელებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების დევნის პარალელურად, „ქართული ოცნება“ აგრძელებდა არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას პროპაგანდის მეშვეობით.

„ქართული ოცნების“ ნარატივში არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოჩნდებიან, როგორც „გაუმჭვირვალედ დაფინანსებული“ აგენტები, რომლებიც ემსახურებიან „ევრობიუროკრატებს“ და „დიფ სთეითს“. დაფინანსების ერთ-ერთი მიზანი კი სახელმწიფო გადატრიალებასთან ერთად, “სარწმუნოების, ეკლესიის და ჩვენი იდენტობის წინააღმდეგ“ ბრძოლაა.

მაგალითები:

> კახა კალაძე, „ქართული ოცნების“ თბილისის მერი, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, 16 ოქტომბერი: „გადმოვიტანეთ ამერიკული ფარა-ს კანონის ანალოგი, თურმე ესეც არ შეიძლება. მარტივია დასკვნის გაკეთება: იმიტომ არ სურთ აღნიშნული კანონების მიღება საქართველოში, რომ პირდაპირ საზოგადოებას ექნება ინფორმაცია, ვინ აფინანსებს სახელმწიფო გადატრიალებების მცდელობებს ქვეყანაში, ხელისუფლების დამხობას, ვინ იბრძვის სარწმუნოების, ეკლესიის, ჩვენი იდენტობის წინააღმდეგ.“
>
> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 15 ოქტომბერი: „...ერთადერთი, რაც აწიეს, 500 კვადრატული მიწა რატომ გადავეცით ეკლესიის ასაშენებლად საპატრიარქოს, აქამდე არიან დასული და ეს, როგორც ვითომ კომპრომატი, ისე გამოიტანეს, ასეთი რა უღმერთოები არიან, მე არ ვიცი. რეალურად, მთავრობის არცერთი გადაწყვეტილებიდან არ გამოუტანიათ არავითარი ეჭვი.“

5. სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მცირე ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიულ, ანტიევროპულ კურსსა და პროპაგანდისტულ განცხადებებს.

5.1 განცხადებები „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულ პოლიტიკაზე, რეპრესიებსა და პატიმრებზე

2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ თბილისსა და სხვა ქალაქებში გრძელდება პროევროპული აქციები ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით. ამ პერიოდიდან, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა არაერთი რეპრესიული, ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური კანონმდებლობა მიიღო, სამართლადამცავმა უწყებებმა და სასამართლომ კი ამ კანონების აღსრულება დაიწყეს. შედეგად, ასობით პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრეს სხვადასხვა „სამართალდარღვევაზე“, ხოლო 100-ზე მეტი პირი კი სისხლის სამართლის

წესით დააპატიმრეს. ამ კონტექსტში, სასულიერო პირების მცირე ნაწილი საჯაროდ უპირისპირდება „ქართული ოცნების“ პროპაგანდას. მათი ძირითადი გზავნილებია:

ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე, სამართლიანობისა და აქტიური მოქალაქეობისკენ მოწოდება

სასულიერო პირების ნაწილი ეწინააღმდეგება საზოგადოების პასიურობასა და უსამართლობაზე დუმილს. ისინი მიიჩნევენ, რომ დუმილი ნიშნავს ბოროტების თანამზრახველობას. რწმენა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა განუყოფელია. მათი თქმით, მართლმორწმუნეობა მოითხოვს აქტიურ მოქალაქეობას და უსამართლობის მხილებას, შესაბამისად, ეკლესია ვერ იქნება ნეიტრალური უსამართლობის მიმართ. ისტორიულად, ქართველი სასულიერო პირები მონაწილეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ და პოლიტიკური ბრძოლის პროცესებში, ამიტომ „პოლიტიკაში ჩაურევლობა“ ქრისტიანული და სამოქალაქო მოვალეობისგან თავის არიდებად მიიჩნევა.

> „...თქვით, რომ საკუთარი ხალხის გაქურდვა, გაღატაკება, მოტყუება, ცემა, უსამართლოდ ციხეში ჩასმა და მოკვდინება-ბოროტის მსახურებაა, ცრუ ღმერთის დიდებაა, არასწორი ლოცვაა. თქვით თქვენც. თქვით, რომ ჩვენი ძმები არ ცრუობენ, ხოლო ბოროტების მსახური პოლიტიკოსები და მათი მიმდევრები ტყუიან. თქვით ეს ხმამაღლა.“ გრიგოლ ჭეჟია, მღვდელი, 31 ოქტომბერი.
>
> „წარმოუდგენელია, დუმილი იმ ხალხის, რომლებიც წესით სიმართლისა და სამართლიანობისთვის უნდა იბრძოდნენ. მასწავლებლები, პროფესორები, სასულიერო პირები თუ სხვა მდუმარე მოღვაწეები ვერაფერს შექმნიან, ვერაფერს გამოადგებიან, ვერაფერს გააკეთებენ სასიკეთოს ვერც ქვეყნისა და ვერც ადამიანისათვის, თუ ასე განაგრძობენ თვალის დახუჭვას ბოროტებასა და უსამართლობაზე“. ლეონ გელოვანი, მღვდელი 29 ოქტომბერი.
>
> „...ქრისტე დევნილ პავლესთან იყო და არა პილატეს მსახურებთან, პილატეს მსახურები დასცინოდნენ და ურტყამდნენ ქრისტეს“. დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 7 ოქტომბერი.
>
> „ქრისტიანობა ადამიანის და თავისუფლების იდეის მსახურებაა!!!“. ზაზა თევზაძე, დეკანოზი, 24 ოქტომბერი.
>
> „როცა ეკლესიის მმართველი ორგანო იხრება ძალაუფლებისკენ და არა სამართლიანობისკენ, ის კარგავს ქრისტეს, რადგან ქრისტე არასდროს დგას ძალაუფლების მხარეს, ის ყოველთვის დგას ჯვარზე.“ ზაქარია ფერაძე, დეკანოზი, 22 ოქტომბერი.
>
> „ძალიან მძიმე მდგომარეობაა ეკლესიაში, ასეთ პოზიციაში რომ ჩადგნენ ეს ადამიანები, მთავრობის დანამატი რომ გახდნენ.“ დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 16 ოქტომბერი.
>
> „დღეს მცხეთა-თბილისის ეპარქიის მწყემსი არის მეუფე შიო. ხალხი დახოცეს, სცემეს ციხეში ჩაყარეს და 1 ქადაგება არ ქონია თავის სამწყსოს დასაცავად.“ შიო კვარაცხელია, არქიმანდრიტი, 29 ოქტომბერი.
>
> „ეკლესია არ არის მხოლოდ ტაძარი, იერარქია, სამოსი და რიტუალი. ეკლესია პირველ რიგში სინდისია, რომელიც უნდა იდგეს სიმართლის მხარეს მაშინ, როცა მთელი სამყარო დუმს. დუმილი, როდესაც ამდენი უსამართლობა ხდება, უკვე თანამონაწილეობაა ბოროტების საქმეში.“ ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 21 ოქტომბერი.

„დიდმა ამბროსიმ ბოდიში არ მოუხადა ხელისუფლებას და გვასწავლა, ანდერძად დაგვიტოვა – არ მოუხადოთ ბოდიში ხელისუფალთ, ვისთანაც მართლები ხართ.“ ილია თოლორაია, არქიმანდრიტი, 1 ოქტომბერი.

„...არადა რამდენ მღვდელს ამოვდგომივარ, რამდენისთვის გამიწვდია დახმარების სულიერი თუ ფიზიკური ხელი, არავის ვამადლი, მაგრამ უხერხულად ვგრძნობ თავს,როცა ჩემს მიერ წინ წაწეული სდუმან მაშინ, როცა ქრისტეს და ქვეყანას ჭირდება, თუნდაც ერთი მართალი სიტყვა.“ დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 21 ოქტომბერი.

ანტიევროპული კურსის მხილება და კრიტიკა

სასულიერო პირების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქრისტიანული ფასეულობები თავსებადია ევროპულ კულტურასა და პოლიტიკურ ტრადიციასთან. ევროპა აღიქმება სამართლის, წესრიგისა და თავისუფლების სივრცედ. ამავდროულად, მათი თქმით, „ქართული ოცნება“ ევროპის ნაცვლად, რუსეთთან კავშირებს ირჩევს.

„იმ ქვეყანას, რომელშიც პირველი საელჩო გერმანიის იყო და რომელიც დამოუკიდებლობის დღიდან მიისწრაფვოდა ევროკავშირისკენ და რომელ ბრძოლასაც უამრავი ქართველი შეეწირა, 180 გრადუსით შეუცვალეს კურსი.“ თამაზ ლომიძე, დეკანოზი 23, ოქტომბერი.

„არა მარტო ევროპა გვჭირდება ჩვენ, არამედ ევროპას და თავისუფალ სამყაროს სჭირდება ჩვენი საამაყო ახალგაზრდები“. დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 1 ოქტომბერი.

„არჩევანს პატივს მიაგებენ, სადაც შეგიძლია შენი ცხოვრების, სურვილისსამებრ, ფორმირება. ეს არის ევროპა!“ გიორგი ღიბრაძე, მღვდელი 13 ოქტომბერი.

„რუსეთის ყმადნაფიცი ქართული ოცნება ცდილობს, დაგვიბნელოს გონების თვალი, რომელიც ქრისტემ აგვიხილა.“ შიო კვარაცხელია, არქიმანდრიტი, 2 ოქტომბერი

„როცა ვიღაცეები მილიონებს აგროვებენ! ვიღაცეები სამშობლოს ყოველდღე ყიდიან! ადამიანები რუსულ რეჟიმს არ შეეგუებიან!!!“ ზაზა თევზაძე, დეკანოზი, 23 ოქტომბერი.

მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა ავტონომიასა და დამოუკიდებლობაში ჩარევის კრიტიკა

სასულიერო პირების ნაწილი აქტიურად საუბრობს „ქართული ოცნების“ მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა ავტონომიაში ჩარევასა და დამოუკიდებლობის შეზღუდვის ტენდენციაზე, მათ შორის სავარაუდო უკანონო მოსმენა-მიყურადების, ე.წ კრებსების გამოქვეყნებასა[6] და ციანიდის საქმეზე.[7]

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც მართლმადიდებლობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადებულიყო. სინამდვილეში, ეს ინიციატივა ქმნიდა მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვის და მისი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების რისკს. საბოლოოდ, „ქართული ოცნების“ ეს მცდელობა წარუმატებელი გამოდგა, რადგან კრიტიკულად შეფასდა და ვერ მოიპოვა ეკლესიის სრული მხარდაჭერა.

სასულიერო პირების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის ინტერესია, ეკლესიის სრული დაქვემდებარება და სასურველი პატრიარქის „დანიშვნა“.

> შიო კვარაცხელია, არქიმანდრიტი, 8 ოქტომბერი: „მან ბრალი დასდო არქიმანდრიტ დოროთეს, თითქოს ნაციონალური მოძრაობა მას შეჰპირდა, რომ მთავრობაში მოსვლის შემთხვევაში, პატრიარქად დასვამდნენ. ამით ოცნების სახე, დიტო სამხარაძე, ამბობს იმას, რომ მთავრობას შეუძლია მოქმედი პატრიარქის გადაყენება და თავიანთთვის სასურველი კანდიდატის პატრიარქად დასმა. სამხარაძის ამ განცხადებამ ჩვენთვის ნათელი მოჰფინა ბიძინა ივანიშვილის ოცნებას. უკვე ეჭვგარეშეა, რომ ციანიდის საქმე გამიზნულად მოაწყო ივანიშვილის გუნდმა, რათა სასურველი კანდიდატი პატრიარქად დაესვათ. როგორც ჩანს, სინოდის მოქმედებამ ძალიან გააღიზიანა ბიძინა ივანიშვილი, როცა პატრიარქი ბინძური ბრალდებებისგან დაიცვეს და სინოდის თითქმის ყველა წევრს გამოუქვეყნა კრებსები, საიდანაც გაურკვეველია, თუ რა არის მართალი და რა — ჭორი. დიტო სამხარაძის ამჟამინდელი განცხადებაც არანაკლებ შეურაცხყოფას აყენებს წმინდა სინოდს, იმით რომ მთავრობას შეუძლია პატრიარქის დანიშვნა და არა წმინდა სინოდს, და ვფიქრობ, ამით გზას უხსნის ბიძინა ივანიშვილს, რომ პატრიარქზე მორიგი შეტევა განახორციელოს.“

---

[6] 2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდო უკანონო თვალთვალისა და მოსმენის 50,000-ზე მეტი ფაილი ანონიმურად გამოქვეყნდა და გავრცელდა. გავრცელებული საიდუმლო მასალები ხელისუფლების მიერ ჩადენილი მასშტაბური და მძიმე დანაშაულების მაგალითია, რაც სისტემურ და განგრძობით უკანონობაზე მიუთითებს. ფაილები შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, პირად კომუნიკაციასა და პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას კონკრეტული ინდივიდების შესახებ. მათი სრული უმრავლესობა შეეხებოდა რელიგიის თემატიკას. მასალები გვაჩვენებს, რომ ხელისუფლება, სავარაუდოდ, წლებია უსმენს და უთვალთვალებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის მაღალ იერარქებს, უფლებადამცველებს, რელიგიისა და რელიგიის თავისუფლების თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დიპლომატებს, პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს. პროკურატურის მიერ TDI-სთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2025 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, ამ დანაშაულის გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა სულ 118 პირს, რომელთაგან 14 სასულიერო პირია. თუმცა კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და ამ დანაშაულისთვის პასუხი არავის უგია. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება კვლავ გრძელდება. სრულად, იხ. ანგარიში: https://tdi.ge/sites/default/files/tdis_forb_report_2024_geo.pdf გვ.19

[7] დეკანოზ გიორგი მამალაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მდივან-რეფერენტის, შორენა თეთრუაშვილის შურისძიების მოტივით განზრახ მკვლელობის მომზადებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 18,108-ე და 236-ე მუხლები) 2017 წლის 5 სექტემბერს 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დეკანოზის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება – ორ ეპიზოდში დაირღვა. ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს გიორგი მამალაძისთვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში 9 418 ლარის ოდენობის თანხის გადახდა დააკისრა. ის 2024 წლის თებერვალში, 7 წლიანი პატიმრობის შემდგომ გათავისუფლდა.

ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 8 ოქტომბერი: „...ახალი არ იქნება, თუ გეტყვით, რომ ბიძინას თავის მონურ სისტემასთან ერთად ყოველთვის სძულდა ეკლესია და მისი იერარქები. მისი "ქველმოქმედება" კარგად გამოვლინდა, რომ იყო "სავიზიტო ბარათი" პოლიტიკაში გეგმიურად შემოსასვლელად და რუსული, და მისი პირადი მერკანტილური მიზნების განსახორციელებლად. […] მან პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღეებიდან, ყველა ის მანკიერი მხარეები გადაიბარა წინა ხელისუფლებებიდან ეკლესიასთან მიმართებაში და მეტიც, ცდილობდა მის სრულად ინსტრუმენტალიზებას. ძალოვანი სისტემები, ე.წ. სუსი მთლიანად შემძვრალია საეკლესიო წრეებში, ათასნაირი მზაკვრობით შებილწა და მწვავე იდეოლოგიური პროპაგანდის მსხვერპლად აქცია, მისი მესვეურების, რუსეთის, სასარგებლოდ."

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 12 ოქტომბერი: „ადამიანებს, რომლებსაც თითქოს პატრიარქზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ დღეს ბიძინაზე ლოცულობენ."

განცხადებები სასამართლო სისტემაზე და აღმსრულებელ მოსამართლეებსა და სამართალდამცავ უწყებებზე

სასულიერო პირების ნაწილი კვლავ მხარდაჭერას უცხადებს სინდისის პატიმრებს, ამავდროულად, გმობს „ქართული ოცნების" რეპრესიებსა და შერჩევით სამართალს.

გიორგი ცქიტიშვილი, მღვდელი, 24 ოქტომბერი: „სამართლის ოკუპაციაც არსებობს როგორც ჩანს. შენს ხელშია - მიაწექი, როგორც გინდა ჭერი და კერე, სანამ შენც დაგიჭერენ და შეგიკერავენ. ქვეყანას თუ გაძარცვავ, გადაიხდი და გამოხვალ, თუ პროტესტი გაქვს და გამოხატავ, იჯდები და ვერსად ვერ გამოხვალ. ქვეყნის მძარცველები სახლში, გულანთებული ხალხი ციხეში. მაგარია"!

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 20 ოქტომბერი: „ცოცხალ და მართალ ხალხს ციხეში სვამენ, დამნაშავეები კი პარლამენტში სხედან და სასამართლოებში ხალხს ასამართლებენ…"

ლეონ გელოვანი, მღვდელი, 29 ოქტომბერი: „წარმოუდგენელი ამბავია, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, როდესაც გვახარებს ფაქტი, რომ პოლიტიკური მოტივით ციხეში გამოკეტილი მასწავლებელი ქალი, ტანჯვა-წამებისა და ჯანმრთელობის შერყევის შემდეგ, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა".[8]

ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 28 ოქტომბერი: „ნინო დათაშვილი - პედაგოგი ქალი და დედა, რომელსაც ბოროტების რეჟიმი ტყვეობაში ამყოფებს! #თავისუფლებარეჟიმისტყვეებს."

ზაზა თევზაძე, დეკანოზი, 28 ოქტომბერი: „ნინო დათაშვილი ძალადობის, უსამართლო მოპყრობის მსხვერპლია!!!"

[8] 21 ივნისს ნინო დათაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სასამართლოს მანდატურზე განხორციელებული თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. 29 ოქტომბერს, მას მოსამართლემ პატიმრობა გირაოთი მას შემდეგ შეუცვლა, რაც პროკურატურამ ნინო დათაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა.

სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირების განცხადებები

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, რუსუდან გოცირიძე სოციალურ ქსელში და მედიასთან აქტიურად საუბრობს და აზიარებს პოლიტიკური პატიმრების მხარდაჭერ განცხადებებს. ასევე საუბრობს, „ქართული ოცნების“, მოსამართლეებისა და სამართალდამცავი უწყებების უკანონო გადაწყვეტილებებზე.

5.2. არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის მხარდამჭერი განცხადებები

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულმა ტელეკომპანიებმა არქიმანდრიტი დორეთე ყურაშვილის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია განაგრძეს. ამავდროულად, კამპანიაში ჩაერთვნენ საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, ანდრია ჯაღმაიძე და საქართველოს საპატრიარქოს მცხეთა-თბილისის ეპარქიული კომისია, რომლის შუამდგომლობითაც, საპატრიარქომ არქიმადრიტ დოროთეს სასჯელის სახით, ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრის მოვალეობიდან გათავისუფლება და ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრაში მღვდელმსახურად გამწესება დაადგინა. საპირისპიროდ, სასულიერო პირების ნაწილმა არქიმანდრიტს მხარდაჭერა გამოუცხადა.

> ზენონ იარაჯული, 21 ოქტომბერი: „არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილს არ ესაჭიროება დასაცავი პეტიცია. ის ადამიანია და ადამიანურობის გამააზრებელი ჩაგრულთა გვერდით დგას…“
>
> გიორგი წეროძე, დეკანოზი, 16 ოქტომბერი: „(არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილს) ბევრი სიცრუე ამხილეთ ისე, როგორც შეეფერება ქრისტიანულ სწავლებას. საუბრობთ უბრალო და გასაგები ენით. ამისთვის მადლობა თქვენ. სიმართლის ძიებაში — თქვენს გვერდით ვარ.“
>
> ზაქარია ფერაძე, დეკანოზი, 22 ოქტომბერი: „[…] როცა მღვდელს აიძულებენ დუმილს, სინამდვილეში ცდილობენ სინდისის ჩახშობას. მღვდელი არ არის ადმინისტრაციული ფუნქციონერი, ის არის ცოცხალი ხმა ეკლესიისა, რომელიც ამხელს ბოროტებას, იცავს ჩაგრულს და დგას იქ, სადაც ძალა ადამიანზე მაღლა დგება.“
>
> გრიგოლ ჭეჟია, მღვდელი, 31 ოქტომბერი: „კიდევ ის, რომ მამა დოროთე და მისი ძმები არავის გაყიდიან იმისთვის, რომ საკუთარი მომავალი იყიდონ. ეს არის ღირსება და სიწმინდე- თვისებები, რომლებიც თითოეულ მღვდელს უნდა ჰქონდეს.“
>
> ილია თოლორაია, არქიმანდრიტი, 30 ოქტომბერი: “მამა დოროთეს ტაძრის წინამძღვრობა ჩამოართვეს, მაგრამ სიტყვის წინამძღვრობას მას ვერავინ ჩამოართმევს. ყველამ იცის, რომ ის დაისაჯა რუსეთის მხილების გამო.“
>
> შიო კვარაცხელია, არქიმნადრიტი, 28 ოქტომბერი: „ვინც მამაოს იბარებს პასუხის მოსათხოვად, ესე იგი გვიბარებს ჩვენც, რადგან ჩვენც იგივეს ვამბობთ და ვქადაგებთ. ვპასუხობთ კითხვებს და ჩვენგან დასმულ კითხვებზეც ველოდებით პასუხს - ესაა სამართლიანობა. ჩვენი თანადგომა არქიმანდრიტ დოროთე (ყურაშვილს).“

არქიმანდრიტმა დოროთე ყურაშვილმა მისი კომისიაზე დაბარებების შესახებ აღნიშნა, რომ ის ეკლესიის საწინააღმდეგოდ არაფერს ქადაგებს და ამბობს სიმართლეს. მისი თქმით, *„ვინც ქვეყნის დაღუპვაზე, ჩვენი ქვეყნის კურსის შეცვლაზე ხმას არ იღებს, ის ჩვენი ქვეყნის წარსულის, აწმყოს და მომავლის მტერია.“*